


ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

თავმჯდომარის მოადგილის

ნინო ლომიძის



2016 წლის
ანგარიში

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 88-ე მუხლის თანახმად, წარმოგიდგენთ ანგარიშს ჩემს მიერ გაწეული მუშაობის შესახებ.

2014 წლის ივლისიდან ვარ ქ. რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მე-5 მოწვევის წევრი, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე, საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის წევრი. საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის წევრი. წინამდებარე ანგარიში მოიცავს 2015 წლის 1 ნოემბრიდან 2016 წლის 31 ოქტომბრის პერიოდს. შევეცდები ჩემი აზრით გამორჩეულ საკითხებზე შევაჩერო თქვენი ყურადღება და ვისაუბრო მხოლოდ გასული პერიოდში ნამუშევარ რამდენიმე ძირითად საკითხზე.

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომებსა და კომისიების

მუშაობაში მონაწილეობა:

მოგახსენებთ, რომ საანგარიშო პერიოდს წარმოგიდგენთ 2015 წლის 1 ნოემბრიდან 2016 წლის 31 ოქტომბრის ჩათვლით. საკრებულოს მუშაობის პერიოდში ჩატარებულია საკრებულოს 25 სხდომა და ბიუროს 22 სხდომა. აღნიშნულ სხდომებზე მიღებულია 40 დადგენილება და 490 განკარგულება. აქტიური მონაწილეობა მაქვს მიღებული თითოეული სხდომის მომზადებასა და დადგენილებისა თუ განკარგულების მიღებაში. საკრებულოს 1 სხდომა ჩემი თავმჯდომარეობის მოვალეობის შესრულების დროს მაქვს ჩატარებული.

როგორც ზემოთ აღნიშნე ვარ საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის წევრი. კომისიამ 2016 წლის საანგარიშო პერიოდში ჩაატარა სულ 11 სხდომა, რომელსაც ვესწრებოდი აქტიურად და სრულყოფილად ვიხილავდი ყველა სოციალურ საკითხს, რასაც კი განიხილავდა კომისია.

ასევე 2015 წლის 04 ნოემბრიდან ვარ საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის წევრი. ამ პერიოდიდან დღემდე კომისიის მიერ არის ჩატარებული 21 სხდომა. აქტიურად მივიღე მონაწილეობა ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის დაგეგმარებაში, ასევე ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული)

იურიდიული პირების 2015 წლის პროგრამების დაგეგმვაში და ასევე ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის 2016 წლის სოციალური პროგრამების დაგეგმვაში.

ასევე გახლავართ სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტოს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს ქვემო ქართლის რეგიონული საბჭოს წევრი. რომელმაც 2016 წელს ჩაატარა 65 სხდომა, სადაც განხილულია მეურვეობა/მზრუნველობასა და სოციალურ საკითხებთან დაკავშირებით, პირის ქვემარტი ინტერესების დაცვის უზრუნველყოფა სახელმწიფოსა და სამოქალაქო საზოგადოებას შორის თანამშრომლობით და მულტიდისციპლინარული მიდგომის გამოყენებით. ასევე ქვემო ქართლის მამტაბით, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა, მცირეწლოვნების/არასრულწლოვნების, სხვადასხვა სახის პროგრამებში ჩართვა.

2015 წლის 05 იანვარს ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერის N03 ბრძანებით შექმნილია „ელექტრონული საშუალებით სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების მიზნით სატენდერო კომისია“, რომლის წევრიც ვარ დღემდე და ინტენსიურად ვთანამშრომლობ აღნიშნულ კომისიასთან, მიწვევს საკითხების სიღრმისეულად შესწავლა.

ასევე 2014 წლის 19 აგვისტოს ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერის N319 ბრძანებით შექმნილია „მოქალაქეთა ინდივიდუალური სამედიცინო დახმარების დროებითი სათათბირო-საკონსულტაციო ჯგუფი“, რომლის წევრიც ვარ დღემდე. აღნიშნული დროებითი სათათბირო-საკონსულტაციო ჯგუფი მიზნად ისახავს ქალაქ რუსთავში მცხოვრები (რეგისტრირებული) მოქალაქეების სრულყოფილი და მაღალეფექტური სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებას. აღნიშნული დახმარება ხორციელდება „მოქალაქეთა ინდივიდუალური სამედიცინო დახმარების პროგრამის“ ფარგლებში.

მოგახსენებთ, რომ ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა საბჭო შექმნილია ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერის 2015 წლის 20 ივლისის N1158 ბრძანებით და წარმოადგენს ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერის საკონსულტაციო ორგანოს, რომელიც თავის მუშაობას წარმართავს მოქმედი ნორმატიული აქტების, მათ შორის: „სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის საფუძვლების შესახებ“ საქართველოს კანონის, ტექნიკური რეგლამენტის „დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის №59 დადგენილების, „ქალაქ რუსთავის ტერიტორიული გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს 2014 წლის 25 ივლისის N226 დადგენილების, „ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 24 ივლისის N103 დადგენილების და სხვა კანონქვემდებარე აქტების შესაბამისად.

საბჭოს კომპეტენციას განეკუთვნება: ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხებზე, მათ შორის სპეციალური ზონალური შეთანხმებისთვის, შესაბამისი დასკვნებისა და რეკომენდაციების მომზადება, კონსულტაციების გაწევა; ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტების შემუშავების, განხილვისა და დამტკიცების პროცესებისსაჯაროობის მიზნით, საზოგადოებრივი ინფორმირების სამუშაოებისა და განხილვების ორგანიზება; ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხებთან დაკავშირებით წინადადებების, შენიშვნების და საჩივრების განხილვა; ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტების გეგმარებითი დავალებების გაცემისთვის შესაბამისი დასკვნებისა და რეკომენდაციების მომზადება, კონსულტაციების გაწევა; მიწათსარგებლობის უფლებრივი ზონირების რუკების დამტკიცებისათვის შესაბამისი დასკვნებისა და რეკომენდაციების მომზადება, კონსულტაციების გაწევა; ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტების ან მათი ნაწილების დამტკიცებისთვის შესაბამისი დასკვნებისა და რეკომენდაციების მომზადება, კონსულტაციების გაწევა; სპეციალური ზონალური შეთანხმებისთვის მუნიციპალიტეტის შესაბამისი ორგანოს გადაწყვეტილების პროექტის მომზადება; საბჭოს მიერ რეკომენდებული სპეციალური (ზონალური) შეთანხმებითა და ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტაციით გათვალისწინებულ საკითხთა შესრულების მონიტორინგი ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერისათვის შესაბამისი დასკვნებისა და წინადადებების მომზადების მიზნით; სხვა საქმიანობა ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერის დავალებით, არქიტექტურულსამშენებლო სფეროს მარეგულირებელი კანონმდებლობით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად.

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა საბჭომ 2015 წლის 20 ივლისიდან 2016 წლის 30 ნოემბრის ჩათვლით სულ განიხილა 59 განცხადება, აქედან 7-ზე გაფორმდა სპეციალური (ზონალური) შეთანხმება. ფუნქციური ზონის ცვლილებაზე დაკმაყოფილდა 32 განცხადება და არ დაკმაყოფილდა 16 განცხადება, ხოლო საკითხის სრულად შესწავლისა და განხილვის მიზნით გადაიღო 4 განცხადება. ამასთან საბჭომ განიხილა რამდენიმე ინიციატივა ფუნქციური ზონის ცვლილებასთან დაკავშირებით.

ზემოაღნიშნული განცხადებების განხილვის უზრუნველყოფის მიზნით სულ ჩატარდა საბჭოს 10 სხდომა, რომლის თაობაზეც მომზადდა 8 შემაჯამებელი დასკვნა ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერთან წარდგენის მიზნით. ასევე მომზადდა ქალაქ რუსთავის

მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების 6 პროექტი და „ქალაქ რუსთავის ტერიტორიული გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 25 ივლისის N226 დადგენილების შესაბამისი ცვლილებები.

მოგახსენებთ, რომ ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა საბჭო აქტიურად განაგრძობს საქმიანობას ქალაქის განაშენიანების განვითარებისა და დახვეწის მიზნით.

საერთაშორისო და ადგილობრივ ორგანიზაციებთან

თანამშრომლობა და სხვა სახის აქტივობები:

- ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2016 წლის 20 იანვრის N111 ბრძანებით მივლინებული ვიყავი ქალაქ ბათუმში საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტის IRI -ის ორგანიზებით დაგეგმილ, საქართველოს საკრებულოს წევრთა კონგრესში მონაწილეობის მისაღებად, რომელიც გაიმართა 2016 წლის 21 იანვრიდან 24 იანვრის ჩათვლით.

კონგრესის მიზანია - რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ხედვებისა და პროექტების გაცნობა მუნიციპალიტეტისათვის; სხვა დარგობრივი სამინისტროებისა და მუნიციპალიტეტის კომუნიკაციის ხელშეწყობა. რაც საბოლოო ჯამში ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტების მუშაობის ეფექტურობის გაზრდას.

აღნიშნულ ტრენინგზე ჩავატარე პრეზენტაცია, სახელწოდებით - სოციალური პროგრამების განვითარება ქვემო ქართლის რეგიონში, კერძოს ვრცელი მიმოხილვა მქონდა ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მიერ მიღებულ სოციალურ პროგრამებზე, წარმოგიდგინე აღნიშნული პროგრამების რეესტრს:

1. მოქალაქეთა მედიკამენტებით დახმარების პროგრამა;
2. სოციალურად დაუცველი მრავალშვილიანი ოჯახების დახმარების პროგრამა;
3. სოციალურად დაუცველი მოსახლეობისათვის სასმელი წყლის გადასახადზე შეღავათის დაწესების პროგრამა;
4. მოქალაქეთა ინდივიდუალური სამედიცინო დახმარების პროგრამა;
5. უხუცეს დღეგრძელთა დახმარების პროგრამა;

6. მეორე მსოფლიო ომის ვეტერნებისა და მათთან გათანაბრებულ პირთა ერთჯერადი მატერიალური დახმარების პროგრამა;
7. 2008 წლის აგვისტოში რუსეთ საქართველოს ომში და 2004 წლის აგვისტოში, შიდა ქართლში მიმდინარე საბრძოლო ოპერაციების და სამშვიდობო ოპერაციების დროს გარდაცვლილ ჯარისკაცთა ოჯახების ერთჯერადი მატერიალური დახმარების პროგრამა;
8. საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის დადუპულთა ოჯახების ერთჯერადი მატერიალური დახმარების პროგრამა;
9. მარტოხელა სოციალურად დაუცველ პირთა სარიტუალო (დაკრძალვის) ხარჯების დაფარვის პროგრამა;
10. იძულებით გადაადგილებულ პირთა სარიტუალო (დაკრძალვის) ხარჯების დაფარვის პროგრამა;
11. სამშობლოს დაცვისას დადუპულთა და ომის შემდეგ გარდაცვლილ მეომართა სარიტუალო (დაკრძალვის) ხარჯების დაფარვის პროგრამა;
12. სოციალურად დაუცველი მოსახლეობის საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანის გადასახადისგან გათავისუფლების პროგრამა;
13. სოციალურად დაუცველი ოჯახებისთვის მუნიციპალური ტრანსპორტით მგზავრობაზე შეღავათის დაწესების პროგრამა;
14. ვეტერანებისათვის მუნიციპალური ტრანსპორტით მგზავრობაზე შეღავათის დაწესების პროგრამა;
15. ვეტერანების სოციალური დაცვის პროგრამა;
16. ზოგიერთი ააიპ-ის და სსიპ-ის თანამშრომლებისათვის მუნიციპალური ტრანსპორტით მგზავრობაზე შეღავათის დაწესების პროგრამა;
17. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ინდივიდუალური დახმარების პროგრამა;
18. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის მუნიციპალური ტრანსპორტით მგზავრობაზე შეღავათის დაწესების პროგრამა;
19. მინდობითი ოჯახების კომუნალური დავალიანების დაფარვის პროგრამა;
20. აუტიზმის, გონებრივი განვითარების შეფერხების ან დაყოვნების მქონე ბავშვთა რეაბილიტაციის პროგრამა;
21. სადღესასწაულო სოციალური ღონისძიებების პროგრამა;
22. უფასო სასადილოებით მომსახურების პროგრამა;
23. C ჰეპატიტი დაავადებული მოქალაქეების მკურნალობის ტაქტიკის განსაზღვრისთვის საჭირო კვლევების დაფინანსების პროგრამა.

განსაკუთრებით აღსანიშნავია - აუტიზმის, გონებრივი განვითარების შეფერხების ან დაყოვნების მქონე ბავშვთა რეაბილიტაციის და C ჰეპატიტი დაავადებული მოქალაქეების მკურნალობის ტაქტიკის განსაზღვრისთვის საჭირო კვლევების დაფინანსების პროგრამები, რადგანაც აღნიშნული პროგრამების დამტკიცება პირველად განხორციელდა 2016 წელს, ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ, განსაკუთრებით გამოვკვეთავ ჩემს ჩართულობას, აღნიშნული პროგრამის დამუშავება-მიღებაში.

- 2016 წლის 9 - 13 თებერვალს, საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტის (IRI) მიერ გამართულ ქალთა საარცევნო კამპანიის სკოლის ტრენინგზე მივიღე მონაწილეობა.

ტრენინგზე განსახილველი თემები - საქართველოს საარჩევნო კოდექსი - წინასაარჩევნო კამპანია და აგიტაცია, რატომ გვჭირდება საერთაშორისო ჩარჩო ქალთა პოლიტიკური მონაწილეობისათვის? ქალის და კაცის კანდიდატები, ლიდერობის განსხვავებული მიდგომები და სხვა.

- 2016 წლის 28 – 30 მარტს, საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტის (IRI) მიერ გამართულ საქართველოს საკრებულოს ქალ წევრთა ფორუმზე მივიღე მონაწილეობა.

ტრენინგზე განსახილველი თემები - როგორ გავხადოთ ადგილობრივი თვითმმართველობის პროექტები გენდერულად სენსიტიური; ქალთა პრობლემების იდენტიფიცირება და ამ პრობლემების მოგვარების გზები; მოქალაქეთა ცნობიერების ამაღლება გენდერულ საკითხთან მიმართებაში და სამოქალაქო აქტივობა, ქალთა ჩართვა გადაწყვეტილების მიღების პროცესში, რომელზე გავაკეთე პრეზენტაცია.

- 2015 წლის 20 მაისიდან 2016 წლის 30 იანვრის ჩათვლით წარმატებით გავიარე „ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტი (NDI) ორგანიზაციის“ მიერ გამართული ტრენინგი - „პოლიტიკური პარტიების ლიდერ ქალთა ტრენინგის პროგრამა“ და „საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტის ქალთა კამპანიის სკოლა“.

- 2016 წლის 6 ივნისის ოკაიოს ჩრდილო უნივერსიტეტის „დემოკრატიული მმართველობისა და სამართლის ნორმების ცენტრის“ დირექტორის ჰოვარდ ფენტონის N18172/02 მოწვევის გათვალისწინებით, 2016 წლის 7 ივნისის ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის N153 ბრძანებით 2016 წლის 3 ივლისიდან 12 ივლისის ჩათვლით მივლინებული ვიყავი ოკაიოს ჩრდილო უნივერსიტეტთან არსებული „დემოკრატიული მმართველობისა და სამართლის ნორმების ცენტრის“ დირექტორის ორგანიზებით, აშშ-ში ოკაიოს შტატში, ქალაქ ლამასა და დაბა ადას ხელმძღვანელ პირებთან შეხვედრებში მონაწილეობის მისაღებად.

სამუშაო ვიზიტი ამერიკის შეერთებულ შტატებში

3 ივლისს - ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე დავით მაღლაკელიძე, მოადგილე ნინო ლომიძე და საკრებულოს აპარატის თანამშრომელი მირანდა გომელაური (თარჯიმანი), ოკაიოს ჩრდილოეთ უნივერსიტეტთან (Ohio Northern University) არსებული დემოკრატიული მმართველობისა და კანონის უზენაესობის ცენტრის

დირექტორის, ბ-ნ ჰოვარდ ნ. ფენტონის მიწვევით, ამერიკის შეერთებულ შტატებში, კერძოდ, ოჰაიოს შტატში გაემგზავრნენ.

4 ივლისს - საქართველოდან ჩასული დელეგაციის წევრები, ქალაქ კლივლენდში, ამერიკის შეერთებული შტატების დამოუკიდებლობისადმი მიძღვნილ ღონისძიებებს დაესწრნენ.

5 ივლისს - წარმომადგენლობითი ორგანოს პირველი პირები, ამავე შტატში მდებარე საუნივერსიტეტო ქალაქ ადას საკრებულოს სხდომას დაესწრნენ, რომლის დროსაც, მესამე მოსმენით, დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები განიხილებოდა.

6 ივლისს - გამართულ ოფიციალურ შეხვედრაზე სტუმრებმა და მასპინძლებმა ორ მუნიციპალიტეტს შორის არსებულ მსგავსება-განსხვავებაზე, ბიუჯეტის ფორმირება/დამტკიცების ფორმებზე, წესებსა და მოსახლეობასთან ურთიერთობის მექანიზმებზე ისაუბრეს. შეხვედრას ქ. ადას მერი დევიდ რეტერერი, საკრებულოს თავმჯდომარე ჯეფ ოსტრიჰი, საკრებულოს ორი დეპუტატი, პოლიციის მთავარი ოფიცერი და ჰოვარდ ნ. ფენტონი ესწრებოდნენ.

7 ივლისს - დელეგაციის წევრები, შტატის ჩრდილო-დასავლეთით მდებარე ქალაქ ლაიმას ესტუმრნენ. რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ხელმძღვანელ პირებს გულთბილი მანსპინძლობა ქალაქის მერმა დევიდ ბერგერმა, საკრებულოს თავმჯდომარემ და სხვა ოფიციალურმა პირებმა გაუწიეს. სტუმრებმა ქალაქის ღირსშესანიშნაობები მოინახულეს, დაათვალიერეს ქალაქში მიმდინარე და დასრულებული პროექტები, გაეცნენ მუნიციპალიტეტის საქმიანობას და ა.შ.

დელეგაციის წევრებმა და მასპინძლებმა ერთმანეთს ქალაქის მმართველობის სტრუქტურების მართვის სპეციფიკა გაუზიარეს და შემდგომში ქალაქების დამეგობრებისა და მათ შორის თანამშრომლობის გაღრმავების შესახებ, მემორანდუმის გაფორმების საკითხებზე იმსჯელეს.

2016 წლის 26 სექტემბერს ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომათა დარბაზში, „საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნულმა ასოციაციამ“ (NALA), “LADDER”-ის პროგრამის ფარგლებში, რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქალ დეპუტატებთან სამუშაო შეხვედრა გამართა.

სერბეთის წარმომადგენელი მაია კნეჟევიჩი, რომელიც თავის მხრივ განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის კომიტეტს ხელმძღვანელობს, რუსთავის მუნიციპალიტეტის პოლიტიკურ ცხოვრებაში ქალთა ჩართულობით, სპორტის მიმართულებით გაწეული საქმიანობითა და საბავშვო ბაღების ფუნქციონირებით

დაინტერესდა. მხარეებმა ერთმანეთს საკუთარი გამოცდილება გაუზიარეს და სამომავლო თანამშრომლობის შესახებ მზაობა გამოთქვეს.

საკრებულოს მხრიდან შეხვედრას ესწრებოდნენ: წარმომადგენლობითი ორგანოს თავმჯდომარის მოადგილე ნინო ლომიძე, საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ელზა ლეკვეიშვილი და დეპუტატი ფიქრია ავალიანი.

გასული პერიოდის განმავლობაში ვმონაწილეობდი ქალაქ რუსთავის საკრებულოს მიერ გამართულ სხვადასხვა ღონისძიებებში, შეხვედრები გვქონდა მოქალაქეებთან, მიმდინარეობდა მათი პრობლემების შესაძლებლობის ფარგლებში მოწესრიგება, შევხვდით ხელოვნებისა და კულტურის სხვადასხვა დარგის წარმომადგენლებთან, ასევე სახელოვნებო განათლების და სხვა სფეროს მოღვაწეებთან, არაერთი პროექტი დაიგეგმა და განხორციელდა ქალაქ რუსთავში მუნიციპალიტეტში ჩვენი ინიციატივით, რაც გამოქვეყნებულია ელექტრონულ ვებ გვერდზე - www.rustavi.gov.ge და ფეისბუქის ელექტრონულ ვებ გვერდზე - [www. https://www.facebook.com](https://www.facebook.com) - რუსთავის საკრებულო.

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

თავმჯდომარის მოადგილე

ნინო ლომიძე

